საქართველოს მთავრობის

დადგენილება №448

2021 წლის 3 სექტემბერი

ქ. თბილისი

„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 31/12/2020; 470000000.10.003.022551) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №20 დანართის (ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა):

1. მე-2 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პროგრამის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპონენტის მოსარგებლეა საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირი, ასევე საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი, მიუხედავად მოქალაქეობის სტატუსისა და №164 განკარგულებით განსაზღვრული უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ინფიცირებულია ან/და საეჭვოა COVID-19-ით ინფიცირებაზე და ამასთან, მისი ოჯახის წევრს (შვილი, მშობელი, მეუღლე) წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებული/მსჯავრდებული პირები (მოქალაქეობის სტატუსისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის მიუხედავად).“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. პროგრამის მე-3 მუხლის „$გ^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპონენტის მოსარგებლეა 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირი, ასევე №164 განკარგულებით განსაზღვრული უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომლის ოჯახის წევრს (შვილი, მშობელი, მეუღლე) წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე.“.

2. მე-3 მუხლის

ა) „გ“ ქვეპუნქტის:

ა.ა) „$გ.ბ^1$“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ.ბ^2$“ ქვეპუნქტი::

„$გ.ბ^2$) COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მართვას მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ „საველე ჰოსპიტლებში;“;

ა.ბ) „გ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.გ) საჭიროების შემთხვევაში, ოჯახის ექიმის/კოვიდ სასტუმროს ექიმის მიმართვის საფუძველზე, საიზოლაციო სივრცეში მყოფი (ბინაზე ან კოვიდსასტუმრო) COVID-19-ის დადასტურებული დიაგნოზის მქონე ბენეფიციარების ამბულატორიულ დიაგნოსტიკას (COVID-19-ის დადასტურებული დიაგნოზის მქონე ორსულების შემთხვევაში, ამბულატორიულ დიაგნოსტიკას ემატება ექიმის კონსულტაცია);";

ბ) „გ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$" ქვეპუნქტი:

„$გ^1$) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული მულტისისტემური ანთებითი სინდრომით დაავადებული 18 წლამდე ასაკის პირთა ინტრავენური იმუნოგლობულინით უზრუნველყოფა;";

გ) „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ამ მუხლის „გ" ქვეპუნქტის „$გ.ბ^2$" ქვეპუნქტით, ასევე „ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული იმ პერსონალის (რეანიმატოლოგი, ინფექციონისტი, თერაპევტი და სხვა ექიმი სპეციალისტი, უმცროსი ექიმი, ექთანი, სანიტარი) დამატებით ანაზღაურებას, რომელიც ჩართულია ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) საეჭვო და/ან დადასტურებული შემთხვევების მართვაში;";

დ) „პ" ქვეპუნქტის „პ.ბ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ.გ"ქვეპუნქტი:

„პ.გ) COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;";

ე) „ჟ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ" და „ს" ქვეპუნქტები:

„რ) ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ხელშეწყობას, მათ შორის:

რ.ა) ახალი კორონავირუსით საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისა და კონტროლის ღონისძიებებიდან გამომდინარე, უსაფრთხო სისხლის მარაგის შექმნისა და ქვეყნის მასშტაბით სისხლის კომპონენტებით სამედიცინო ბაზრის დაკმაყოფილების მიზნით, თანამედროვე სტანდარტების მქონე სისხლის ბანკის (ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას №29-ში მდებარე (ნაკვეთი 07/081) შენობა №2-ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.081) მეორე სართული) რეაბილიტაცია;

რ.ბ) ახალი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის გაფართოების მიზნით, თბილისში, ვაჟა-ფშაველას №29-ში მდებარე შენობა №2-ის (მიწისზედა პირველი სართულის პირველი და მეორე ფლიგელი) რეაბილიტაცია;

რ.გ) კოვიდ-19-ის დიაგნოსტირების ცენტრების მოწყობა და, მოსალოდნელი წერტილოვანი ეპიდაფეთქებების მყისიერად მართვის მიზნით, ორი ერთეული მობილური პჯრ ლაბორატორიის შესყიდვა, ასევე დიაგნოსტირებისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფა;

ს) COVID-19-ის მკურნალობის მიზნით ანტივირუსული მედიკამენტის – რემდესივირის შესყიდვისათვის სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის" საჭირო თანხის სუბსიდიით უზრუნველყოფას არაუმეტეს 905 000 ლარისა.".

3. მე-4 მუხლის:

ა) „დ" ქვეპუნქტის „$დ.ბ^1$" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ.ბ^2$" ქვეპუნქტი:

„$დ.ბ^2$) „$გ.ბ^2$ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით; ამასთან, ფაქტობრივი ხარჯი მოიცავს პაციენტის მკურნალობასთან ან/და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებულ ხარჯებს (მათ შორის, კვება), ასევე სამედიცინო პერსონალის ხელფასებს/დანამატებს, კომუნალურ და საკანცელარიო/სამეურნეო ხარჯებს.";

ბ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^{1}“ ქვეპუნქტი:

„დ^{1}) „გ^{1}“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.“;

გ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{1}“ ქვეპუნქტი:

„თ^{1}) მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ^{2}“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალის დამატებითი ანაზღაურება გაიცემა ამ მუხლის „თ“ ქვეპუნქტის „თ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობით.“.

4. მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. პროგრამის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.“.

5. მე-6 მუხლის:

ა) „დ“ ქვეპუნქტის „დ.ბ^{1}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ.ბ^{2}“ ქვეპუნქტი:

„დ.ბ^{2}) „გ.ბ^{2}“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელია მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული დაწესებულებები;“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^{1}“ ქვეპუნქტი:

„დ^{1}) „გ^{1}“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება.“.

6. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ (2021 წლის 1 მარტამდე), „გ“, „გ^{1}“ „დ“ (2021 წლის 1 მარტამდე), „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“ (2021 წლის 1 მარტამდე) და „ი“ ქვეპუნქტების განმახორციელებელია სააგენტო.

1^{1}. 2021 წლის 1 მარტიდან პროგრამის მე-3 მუხლის „ა“, „დ“,„თ“ და „რ“ ქვეპუნქტების განმახორციელებელია ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

2. პროგრამის მე-3 მუხლის „ბ“, „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტების, ასევე „პ“ ქვეპუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტისა და „პ.ა“ ქვეპუნქტის ფარგლებში მომსახურების/საქონლის გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მეშვეობით შესყიდვის შემთხვევაში, განმახორციელებელია ცენტრი.

3. პროგრამის მე-3 მუხლის „კ“, „ნ“ და „ს“ ქვეპუნქტების, ასევე „პ“ ქვეპუნქტის „პ.ა“ (გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულისა) და „პ.გ“ ქვეპუნქტების განმახორციელებელია სამინისტრო.

4. პროგრამის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის განმახორციელებელია გადაუდებელი დახმარების ცენტრი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის „ა.ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, ასევე მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ და მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებისა. პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-2 პუნქტის „ა.ა“ და „გ“ ქვეპუნქტები, ასევე მე-3 პუნქტის „ა“ და „გ“ და მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 20 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**